

წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის ოქმი №23

ქ. თბილისი

24.12.2009 წ.

დღის წესრიგი:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების ცნობა.
2. თსუ-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.
4. უნივერსიტეტის ცალკეული უძრავ-მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.
5. “ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ რევაზ კაკულიასათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ” აკადემიური საბჭოს 7.12.2009 წლის №318 დადგენილების დამტკიცება.
6. „პროფესორ-ემერიტუსებისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 7.12.2009 წლის №314 დადგენილების დამტკიცება.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

*წარმომადგენლობითი საბჭო – 20 წევრით (ახალი წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ 23 წევრით);
აკადემიური საბჭო – 9 წევრით (დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2; მე-3 , მე-5 და მე-6 საკითხების განხილვაში);*

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ რომან ხარბედია, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირინე დარჩია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე მარინა ლომოური, ფაკულტეტების დეკანები და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

დღის წესრიგი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული;

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სამედიცინო ფაკულტეტებზე ჩატარდა სენატის წევრების არჩევნები. იურიდიულ ფაკულტეტზე თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრებად არჩეულ იქნენ პროფესორები გიორგი კვერენჩილაძე და გიორგი კახიანი; სამედიცინო ფაკულტეტზე - პროფ. გიორგი გალდავა. სპიკერმა კენჭისყრაზე დასვა სენატის ახალი წევრების უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ:

წარმომადგენლობითი საბჭო – 20 წევრით;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 20;

წინააღმდეგი – 0;

თავი შეიკავა – 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

ცნობილი იქნას გიორგი კვერენჩილაძის, გიორგი კახიანისა და გიორგი გალდავას წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ წარმოიშვა წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობა “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” X თავის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი არეგულირებს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესს, კერძოდ, 1. უნივერსიტეტის წესდებას შეიმუშავენ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. უნივერსიტეტის წესდების მიღება, გაუქმება მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოების წინაშე წარმოდგენილია წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტი შემდეგი სახით:

1. შევიდეს ცვლილება წესდების მე-3 მუხლის “გ” ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“გ. უნივერსიტეტში აკადემიური განათლების სამსაფეხურიანი სწავლების ციკლის (ბაკალავრიატი- მაგისტრატურა-დოქტორანტურა), დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში, ან დამოუკიდებლად არსებული, შესაბამის სტანდარტზე

დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, ფორმალური და არაფორმალური სახელობო, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, უწყვეტი განათლების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების, მაღალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ექსპერიმენტების განხორციელება;

2. წესდების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი სახის “თ” ქვეპუნქტი:

„თ“ თავისი პერსონალის პროფესიული განვითარება.

3. შევიდეს ცვლილება წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – ფაკულტეტებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულები ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების: რექტორის აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისაგან, აგრეთვე საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მნიშვნელობის, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან.

4. წესდების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი სახის მე-4 პუნქტი:

„4. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესს განსაზღვრავს დაწესებულების წესდება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ამ დაწესებულების, ან ფაკულტეტის სხვა სტრუქტურული ერთეული, ასევე, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, მათი მართვის ორგანოები და საქმიანობის წესი.

5. წესდების მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი სახის “ფ”, “ქ”, “ღ” ქვეპუნქტები:

„ფ. სიითი შემადგენლობის 2/3 იღებს “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 39-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას.

„ქ. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების, ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;